



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 54

2014 წლის 26 აგვისტო

ქ.დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური კავშირგაბმულობის ხარჯის და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N89 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

„დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გამგეობის მოსამსახურეთა მიერ მობილური კავშირგაბმულობის ხარჯის და სამსახურებრივი ავტომანქანების (ასევე, ავტომანქანების სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელების მიზნით გამოყენებისათვის) საწვავის ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის N89 განკარგულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი N1-ით დამტკიცებული ცხრილის N2,3,4,5 სტრიქონები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2	საკრებულოს თამჯდომარის მოადგილე	200			
3	საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე		100		
4	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე	100			
5	დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისია		150		

2. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს 2014 წლის 1 სექტემბრიდან.